საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F 171
1956

2

თებერვალი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 59—სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 3
2. ბრძანება № 65—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ 8
3. ინსტრუქცია სასწავლო ექსკურსიების ჩატარების შესახებ 10
4. ბრძანება № 90—დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთში მცხოვრებ ლიდა ალექსის ასულ წამალაიძის განცხადების შემოწმების შედეგების შესახებ 26
5. ბრძანება № 93—სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 29
6 ბრძანება № 94—საბავშვო სახლებში მეოთხე კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 34
7. ბრძანება № 97—ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ 37

რედაქტორი მ. ბურჯულაძე

ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III-56 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,5, საღრიცხვო-საგამომცემლო—1,87, საავტორო—1,68.

უე 02249. ტირაჟი 5000. შეკვ. № 232

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

F 1941

საქართველოს სსრ. საქ. ბიბ.
საკავშირო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 59

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 17 იანვარი

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების სამმართველომ (უფროსი ამხ. გ. საყვარელიძე):

ა) შეისწავლოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა აფხაზეთის ასსრ, ახალციხის, ბორჯომის, თელავის, ყვარლის რაიონებისა და ქ. ფოთის სკოლებში და შედეგები წარმოუდგინოს კოლეგიას განსახილველად;

ბ) პოლიტექნიკური სწავლების მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით შეარჩიოს რესპუბლიკაში ოცდაათამდე სანიმუშო სკოლა;

გ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად მისცეს მითითებები განათლების განყოფილებათა გამგეებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) გააუმჯობესოს კონტროლი სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებაზე და რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტის ათვისებაზე;

ბ) მოამზადოს დასაბუთებული მასალები მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების აუცილებლობის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ბიუჯეტით გაითვალისწინოს საჭირო ასიგნობანი სკოლების ფიზკულტურული ინვენტარით მომარაგებისათვის;

დ) მოამზადოს სათანადო მასალები სკოლების ფიზკულტურული ინვენტარით გეგმიანი მომარაგების შესახებ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში წარსადგენად;

ე) გაითვალისწინოს პიონერთა სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურების ქსელის გაზრდა რესპუბლიკაში;

ვ) ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ლაბორატორიების მოსაწყობად გამოჰყოს ერთდროულად საჭირო რაოდენობის თანხა.

3. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველომ (უფროსი ამხ. ი. გვერდწითელი):

ა) გადასინჯოს პედაგოგიური ინსტიტუტების სასწავლო გეგმები და პროგრამები პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით;

ბ) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა მეორე სპეციალობაში მოსამზადებლად.

4. კადრების განყოფილებამ (უფროსი ამხ. ი. კვაჭაძე):

ა) იზრუნოს იმისათვის, რომ ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების (პედკაბინეტის) აპარატში იყოს რუსული ენის სპეციალისტი ინსპექტორი ან მეთოდისტი;

ბ) მისცეს სათანადო მითითება განათლების განყოფილებათა გამგეებს შეუფერებელი და სუსტი მასწავლებლის განთავისუფლების მასალების წარმოდგენის შესახებ, ამ საკითხზე არსებული კანონის ზუსტად დაცვით.

5. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (უფროსი ამხ. დ. ჯავახია):

ა) გადაამუშაოს ორიგინალური სახელმძღვანელოები და პროგრამები მათი განტვირთვის მიზნით;

ბ) ჩაატაროს წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის სპეციალური სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის გამოსაცემად.

6. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ს. არველაძე):

ა) 1956 წლის 1 მაისამდე შეადგინოს სკოლებისა და სპეციალურ-წავლებლების კაბინეტ-ლაბორატორიების შევსების გეგმა;

ბ) უახლოეს ვადაში გახსნას თვალსაჩინო ხელსაწყოების საბაზრო მაღაზიის ფილიალი ქ. ქუთაისში;

გ) გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო მოწყობილობის, ინვენტარისა და მასალების ფონდების გამოსაყოფად და ამ მიზნისათვის სპეციალური მაღაზიის გასახსნელად.

დ) უზრუნველყოს პიონერთა სახლები და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები სათანადო მასალებით.

7. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ამხ. ა. ღადუა):

ა) მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა ქალაქმშენსახპროექტმა და თბილქალაქპროექტმა მშენებლობის სატიტულო სიაში გათვალისწინებული ობიექტების ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა დაამთავრონ მიმდინარე წელს და წარადგინონ სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოში განსახილველად;

ბ) სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიოს საპროექტო ორგანიზაციების ობიექტების ტექდოკუმენტაციის შედგენის მიმდინარეობას, ვადების დარღვევის შემთხვევაში კი პირადად მომახსენოს ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით ზემდგომ ორგანოებში საკითხის დასაყენებლად;

გ) მიაღწიოს იმას, რომ დადგენილ ვადებში ადგილებიდან მიღებულ იქნეს მოკლე ანგარიში კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, სათანადო ფორმების დართვით;

დ) დააწესოს ზუსტი ტექნიკური ზედამხედველობა თითოეულ საამშენებლო ობიექტზე; ცალკეულ ობიექტებზე გააპიროვნოს ინჟინერ-ტექზედამხედველები და დააკისროს მათ ყოველი თვის პირველ რიცხვებში წინათვეს შესრულებული სამუშაოების შესახებ ადგილებიდან გამოგზავნილ ანგარიშებთან ერთად წარმოადგინონ შემოწმების მასალები;

ე) წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად კვარტალში ერთხელ მაინც (საჭირო შემთხვევაში მეტჯერ) საკითხი, როგორც ცალკე ობიექტების, ისე მთლიანად ყველა ობიექტის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ;

3) კონტროლი გაუწიოს ასსრ განათლების სამინისტროების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური რემონტის სამწლიანი (1956—1958 წ. წ.) გეგმების დროულად წარმოდგენის საქმეში და უზრუნველყოს 1956 წლის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების ხარჯთაღრიცხვების შედგენა და დაგზავნა 1956 წ. I/V-მდე.

8. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. დ. ლორთქიფანიძე):

ა) 1956 წლის 1 ივნისამდე შეადგინოს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის ანოტირებული სარეკომენდაციო სიები კლასების მიხედვით და უზრუნველყოს ამ სიების გამოცემა მიმდინარე წლის ბოლომდე;

ბ) შეისწავლოს სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობა და მოახდინოს მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

9. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. გ. ასპინძელაშვილი) 1956 წლის განმავლობაში უზრუნველყოს:

ა) პოლიტექნიკური დისციპლინების მასწავლებელთა გადამზადება ყოველთვიურად 50 კაცისა, წარმოებიდან მოუწყვეტლად;

ბ) ფიზიკური კულტურის 120 მასწავლებლის გადამზადება;

გ) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების 60 დირექტორისა და 90 მასწავლებლის გადამზადება.

10. საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ (დირექტორი ამხ. ა. გაბისკირია) გაითვალისწინოს საგამომცემლო გეგმით ტექნიკური და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემა მოსწავლეთათვის.

11. დაწესდეს სახალხო განათლების კვალიფიციური მუშაკების მივლინება ადგილებზე მასწავლებელთა და მშობელთა კრებებზე სპეციალური მოხსენებების გასაკეთებლად. მოხსენებისათვის დამტკიცდეს შემდეგი თემები: „სკოლა და ოჯახი“, „შეგნებული დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებანი სკოლაში“, „პოლიტექნიკური სწავლების პრინციპები და ამოცანები“, „საშეფო ორგანიზაციების დახმარება სკოლებისადმი“, „მშობლის უფლება-მოვალეობანი“, „საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი“, „მოსწავლეთა შრომითი აღზრდა“, „მასწავლებლის მორალური სახე და პირადი მაგალითი“ და სხვ.

12. 1956 წლის აპრილში მოწვეულ იქნეს განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის 6 დეკემბრის პლენუმის დადგენილების ... ლების მიმდინარეობის შესახებ. თათბირის ორგანიზაცია დაევალოს სკოლების სამმართველოს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 13 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ბ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 65

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 20 იანვარი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების სამმართველომ:

ა) გადასინჯოს საქართველოს სს რესპუბლიკის დღემდე არსებული ზონებად დაყოფა და განაახლოს მათზე განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების მუდმივი მიმაგრება;

ბ) ზონების ინსპექტორები მოამარაგოს ყველა მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტით (ზემდგომი ორგანოების დადგენილებებით, სამინისტროს ბრძანებებით, განკარგულებებითა და მითითებებით).

2. ზონების ინსპექტორებმა:

ა) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ მათზე გაპიროვნებული ზონის სახალხო განათლების ორგანოებს და სკოლებს. მიაღწიონ იმას, რომ ისინი დადგენილ ვადებში და მაღალხარისხოვნად ასრულებდნენ ყველა დავალებას;

ბ) შესრულების შემოწმების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის ფართოდ გამოიყენონ სახალხო განათლების საბჭო და მოწინავე მასწავლებელთაგან შემდგარი აქტივი; ამასთან ერთად, შემდეგშიაც დარჩეს ძალაში რაიონებისა და ქალაქების სკოლების მუშაობის შემოწმების დღემდე არსებული წესი.

3. სამინისტროს სამმართველოებმა და განყოფილებებმა:

ა) მკაცრი კონტროლი დააწესონ ადგილობრივი განათლების ორგანოების მიერ დავალებათა დროულად და კარგი ხარისხიანი ადგილობრივი მაჩვენებლებით შესრულებაზე;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ როგორც სახალხო მეურნეობის გეგმის, ისე ბიუჯეტის შედგენაში და იბრძოლონ მათი აუცილებლად შესრულებისათვის;

გ) სისტემატურად შეამოწმონ ადგილობრივი განათლების ორგანოების მუშაობა და შედეგები მოახსენონ კოლეგიას;

დ) საჭიროების მიხედვით მოიწვიონ თათბირები პრაქტიკულ საკითხებზე.

4. მინისტრის მოადგილემ ამხ. ბ. კიზირიამ უხელმძღვანელოს ინსპექტორებისათვის სემინარის ჩატარების საქმეს.

5. მინისტრის მოადგილემ ამხ. თ. ზახაშვილმა გადასინჯოს განათლების ადგილობრივი ორგანოების პირადი შემადგენლობა მისი გაუმჯობესების მიზნით.

6. კოლეგიის სხდომებზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტების განხილვასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებს, შესრულების შემოწმებას, ადგილობრივი ორგანოებისა და სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების ანგარიშების მოსმენა-განხილვას ფაქტიური მდგომარეობისა და მასალების წინასწარ ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 13 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიგლაძე**

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
გ. ჯიბლაძე

1956 წლის 25 ნოიემბერი

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

სასწავლო ექსკურსიების ჩატარების შესახებ[1]

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სასწავლო ექსკურსიების საშუალებით წარმატებით ხორციელდება თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპი სკოლაში.

ახალ სასწავლო გეგმასა და პროგრამებში ექსკურსიებისათვის განსაზღვრული საათებია გამოყოფილი.

სასწავლო ექსკურსიების საშუალებით მოსწავლეს უნდა გავაცნოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მეცნიერული საფუძვლები, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკისა და ბიოლოგიის კანონების გამოყენება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტზე, მივაჩვიოთ მოსწავლე მოვლენებზე დაკვირვებას.

ათწლიანი საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით ექსკურსიებს IV—IX კლასებში ეთმობა ერთი კვირა (6 სასწავლო დღე). ექსკურსიების მოსაწყობად გათვალისწინებულია IV კლასში—27, V—33, VI—33, VII—34 და IX—34 საათი (წლის მანძილზე ყველა კლასში—195 საათი).

თერთმეტწლიანი სკოლის გარდამავალი სასწავლო გეგმით ექსკურსიების მოწყობა გათვალისწინებულია IV—X კლასებში და თვითეულ კლასში დათმობილი აქვს ერთი სასწავლო კვირა წელიწადში: IV კლასში—27 საათი, V—33, VI—33, VII—33, VIII—35, IX—34, X—34, რაც ყველა კლასში წლის მანძილზე 229 საათს შეადგენს.

---

[1] სასწავლო ექსკურსიის შესახებ ამ ინსტრუქციის შედგენაში და დასაბეჭდად მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკებმა ვ. კობახიძემ, ზ. კოვზირიძემ და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის კაბინეტის გამგემ შ. სიხარულიძემ.

ზემოაღნიშნულ კლასებში წლის მანძილზე ჩატარდება 6 სასწავლო-საწარმოო ექსკურსია თვითეულში. სულ კი ათწლიანი სკოლის IV—IX კლასებში 36, ხოლო თერთმეტწლიანი სკოლის IV—X კლასებში—42 ექსკურსია.

ბიბლიოთეკა

I, II, III და XI კლასებში პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსიები ეწყობა ამ კლასებისათვის სასწავლო გეგმით განკუთვნილი საათების ხარჯზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სკოლა ადგენს სასწავლო-საწარმოო ექსკურსიების მოწყობის წლიურ გეგმას. სკოლაში იქმნება საექსკურსიო ბიურო 4—5 მასწავლებლისაგან სასწავლო ნაწილის გამგის ხელმძღვანელობით. საექსკურსიო ბიუროს მიერ შედგენილ გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

წლიური გეგმის შედგენისას საპროგრამო მასალის შესაბამისად შეირჩევა სკოლის რაიონში მოცემული საწარმოო, საყოფაცხოვრებო, კულტურულ-საგანმანათლებლო და გეოგრაფიული ობიექტები იმის გათვალისწინებით, რომ საექსკურსიო ობიექტები წლების მანძილზე ცალკეული კლასებისათვის უცვლელი დარჩეს. ეს გააადვილებს მასწავლებელთა მიერ საექსკურსიო ობიექტების საფუძვლიანად შესწავლასა და როგორც წლიური გეგმის, ისე ცალკეული კლასის ექსკურსიების გეგმა-მარშრუტის მოფიქრებულად შედგენას.

რაკი IV—X კლასებში ექსკურსიების მოწყობას წლის მანძილზე ექვსი სასწავლო დღე ეთმობა, ექსკურსიაზე წასვლის დღეს კლასში ცხრილით გათვალისწინებული გაკვეთილები არ ტარდება. ექსკურსიისათვის განკუთვნილი სასწავლო დღე (4—5 საათი) 1—2 სასწავლო დისციპლინაში ექსკურსიის ჩატარებას უნდა მოხმარდეს.

წლიური გეგმით გათვალისწინებული ექსკურსია თვითეულ კლასში სასწავლო კვირის ყველა ექვსი დღის გამოყენებით უნდა ჩატარდეს. მაგალითად, თუ კლასში პირველი ექსკურსია ორშაბათს ჩატარდა, მეორე ექსკურსია ამავე კლასში რომელიმე მეორე კვირის სამშაბათს უდნა მოეწყოს და ა. შ. ეს იმიტომ, რომ სასწავლო საგნებისათვის ცხრილით განკუთვნილი წლიური საათების რაოდენობა უკლებლივ იქნეს გამოყენებული.

აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ექსკურსიების ჩატარების თარიღის განსაზღვრისას. ექსკურსიები ისე გეგმაზომიერად უნდა ეწყობოდეს წლის განმავლობაში, რომ

ადგილი არ ექნეს ექსკურსიების თავმოყრას სასწავლო წლის ბოლოს.

უფროსი კლასის მოსწავლეებისათვის ეწყობა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის საპროგრამო მასალის პრაქტიკასთან შინაარსეულად დამაკავშირებელი კომპლექსური ექსკურსიები.

საექსკურსიო ობიექტები და მათი წინასწარი შესწავლა

სასწავლო ექსკურსიები ეწყობა პირველ რიგში სკოლის მახლობლად არსებულ ობიექტებზე. საექსკურსიო ობიექტად შეიძლება შეირჩეს: სკოლის შენობა (ელექტროგანათება, წყალგაყვანილობა, გათბობის სისტემა) და ეზო, საკოლმეურნეო ფერმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური, გარაჟი, საკოლმეურნეო ბაღ-ბოსტანი, ტექნიკური კულტურების პლანტაცია, ფაბრიკა, ქარხანა, სახელოსნო, წისქვილი, კინო-დანადგარი, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიოკვანძი, ელსადგური, პოლიკლინიკა, აფთიაქი, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, ისტორიული ძეგლი, მუზეუმი, მწერლის სახლი, მდინარეტბა, ზღვა, გორაკი, ტყე, არხი და სხვ.

სკოლის მახლობელ საექსკურსიო ობიექტებს ადგილობრივი სპეციალისტის დახმარებით მასწავლებელი წინასწარ ეცნობა და არკვევს:

ა) საპროგრამო მასალის რომელი შესწავლილი საკითხის განმტკიცება-გაღრმავებისათვის გამოდგება მოცემული ობიექტი;

ბ) რა ცოდნა-ჩვევებს მიიღებს მოსწავლე ექსკურსიაზე;

გ) რომელი თემის გავლის შემდეგ არის მიზანშეწონილი ექსკურსიის ჩატარება;

დ) რა თანმიმდევრობით უნდა მოხდეს დაკვირვებათა წარმოება, რომელია საექსკურსიო ობიექტის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილები;

ე) ერთდროულად რამდენ მოსწავლესთან შეიძლება მუშაობის ჩატარება ამ ობიექტზე;

ვ) რამდენი დრო დასჭირდება თვით ექსკურსიის ობიექტის გაცნობას;

ზ) რით წაიყვანენ მოსწავლეებს (ფეხით, ავტომანქანით, ტრამვაით, ტროლეიბუსით, მატარებლით) და მგზავრობისათვის საჭირო დრო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) რა უნდა იქონიონ მოსწავლეებმა (სასწავლო ნივთები, სურსათი და სხვ.).

ი) უსაფრთხოების რა წესები უნდა იქნეს დაცული ადგილზე;

კ) ხომ არა აქვს ადგილი წარმოებაში მავნე გაზების გამოყოფას და სხვ., რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მოსწავლეთა ჯანმრთელობას.

წინასაექსკურსიო მზადება

1. ექსკურსიის ჩატარების წინ მასწავლებელი მოაგონებს საექსკურსიო ობიექტის ხელმძღვანელს გათვალისწინებული ექსკურსიის მოწყობის შესახებ, აცნობებს დროს და თხოვს დამხმარე სპეციალისტის გამოყოფას. ობიექტის ხელმძღვანელს ეცნობება აგრეთვე უამინდობის ან სხვა რაიმე მიზეზით ექსკურსიის გადადების შესახებ.

2. მასწავლებელი ადგენს ექსკურსიის გეგმას, რომელშიც აღიხიშნება:

ა) ექსკურსიის მოწყობის დრო, ობიექტი, მარშრუტი;

ბ) მოსწავლეების ინდივიდუალური და საერთო მომარაგება;

გ) რით მიემგზავრებიან (ფეხით, ავტომანქანით, ტრამვაით და სხვ.);

დ) სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია (ჯგუფურად თუ მთელ კლასთან);

ე) ექსკურსიის ძირითადი მიზანი და საკითხები, რომლებიც უნდა შეისწავლონ ექსკურსიის დროს;

ვ) რა პრაქტიკული სამუშაოები უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა ექსკურსიის დროს;

ზ) რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა ექსკურსიის დროს და შემდეგ (ჩაწერა-ჩახაზვა, კოლექციების შედგენა, მოხსენებათა დამზადება და სხვ.);

თ) ექსკურსიის შედეგების შეჯამების ფორმა.

მასწავლებელი წინასწარ გააცნობს კლასს ექსკურსიის გეგმასა და ამოცანებს.

ექსკურსიის ჩატარებით მოსწვლეებს არ უნდა დაერღვეთ გაკვეთილების მომზადების, ძილის, კვებისა და დასვენების რეჟიმი.

მოსწავლეები წინასწარ ჩაიწერენ კითხვებს, რომლებიც მათ უნდა გაარკვიონ ექსკურსიის დროს.

3. ექსკურსიის დროს მგზავრობის ორგანიზაციაში მასწავლებლისათვის ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად გამოიყოფა ერთი მოსწავლე.

4. კომპლექსური ექსკურსიის გეგმას ადგენს სასწავლო ნაწილის გამგე ექსკურსიაში მონაწილე მასწავლებელთან ერთად; გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

5. სკოლამ მშობლებს უნდა აცნობოს შორეული ექსკურსიის მოწყობის დრო.

6. შორეული ექსკურსიის მოწყობისა და ადგილზე მისვლის დროის შესახებ სკოლის დირექტორმა უნდა აცნობოს განათლების განყოფილების გამგეს.

7. რამდენიმე დღიანი შორეული ექსკურსია ეწყობა მხოლოდ განათლების სამინისტროს ნებართვით.

მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა

1. სკოლიდან 1—3 კილომეტრამდე მანძილით დაშორებულ ობიექტებზე გამგზვრება ხდება ფეხით. წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ექსკურსანტები ქუჩაში მიდიოდნენ მწკრივად (ერთად ორ-ორი).

2. ავტომანქანით მგზავრობისას აუცილებელია:

ა) ავტომანქანის ტექნიკურად გულდასმით შემოწმება და იმის დადგენა, თუ რამდენად საიმედოა იგი შეუფერხებელი და უხიფათო მოგზაურობისათვის;

ბ) გამოცდილი, კარგად შემოწმებული და თავისი მოვალეობისადმი სათანადო პასუხისმგებლობის მქონე მძღოლის შერჩევა;

გ) ავტომანქანაში ჩასხდომის, გადმოსვლის და მოძრაობის ყველა საჭირო წესის ზუსტად დაცვა.

3. ტრამვაით ან ტროლეიბუსით მგზავრობისას აუცილებელია:

ა) ტრამვაის ვაგონში, ტროლეიბუსში პირველად მასწავლებლისათვის დამხმარედ გამოყოფილი მოსწავლის, ხოლო შემდეგ დანარჩენი მოსწავლეების შესვლა; მასწავლებელი ტრამვაის ვაგონში, ტროლეიბუსში უკანასკნელი შედის;

ბ) თუ ყველა მოსწავლის გამგზავრება ერთ რეისზე არ ხერხდება, დანარჩენი მოსწავლეები შევლენ მორიგი ტრამვაის ვაგონში,

ტროლეიბუსში. მოსწავლეთა პირველი ჯგუფი დამხმარე მოსწავლის ხელმძღვანელობით ჩამოდის დანიშნულ ადგილზე და ელოდება მეორე ჯგუფს. მასწავლებელი ამოწმებს ექსკურსანტების [illegible] შემადგენლობას;

ბ) მატარებლით მგზავრობისას ექსკურსანტები თავსდებიან ერთ ვაგონში. ორ ვაგონში განაწილების შემთხვევაში კი ერთ ჯგუფთან იქნება დამხმარე მოსწავლე, ხოლო მეორესთან მასწავლებელი;

დ) მატარებლის სამგზავრო ბილეთებს შეიძენს მასწავლებელი. ბილეთები ინახება მასწავლებელთან;

4. შორეულ ექსკურსიას ხელმძღვანელობს დირექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე (ექსკურსიაში მონაწილე მასწავლებლის დახმარებით). შორეულ ექსკურსიაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30—40 კაცს. ექსკურსიას თან უნდა ახლდეს სკოლის ექიმი ან ექთანი.

5. მგზავრობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დისციპლინის დაცვას. მოსწავლეებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ დისციპლინის დაქვეითებას შეიძლება მეტად არასასურველი შედეგები მოჰყვეს (ექსკურსიიდან მოსწავლის ჩამოშორება, დაშავება ან ავად გახდომა, ნივთების დაკარგვა, ობიექტისადმი რაიმე ზიანის მიყენება და სხვ.). მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მტკიცე, სალაშქრო წესრიგი. არ უნდა იქნეს დაშვებული მოსწავლის თვითნებური მოქმედების არც ერთი შემთხვევა (დაუკითხავად წყლის დასალევად წასვლა, გზაზე ხილის ყიდვა და სხვ.).

6. ექსკურსიის დროს კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ალკოჰოლიანი სასმელების ხმარება.

7. შორეული ექსკურსიის ხელმძღვანელი უკავშირდება ადგილობრივ განათლების განყოფილების გამგეს. განათლების განყოფილების გამგე ვალდებულია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ექსკურსანტებს.

8. ექსკურსიის შემდეგ მოსწავლეები ბრუნდებიან სკოლაში და მხოლოდ აქედან გაემგზავრებიან შინ. შორეული ექსკურსიიდან ღამით გვიან დაბრუნების შემთხვევაში ექსკურსიის ხელმძღვანელი ვალდებულია მოსწავლე ჩააბაროს მშობელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა მომარაგება სასწავლო და სხვა საჭირო ნივთებით

1. ახლო ექსკურსიებზე მოსწავლეებს მხოლოდ სასწავლო ნივთები ესაჭიროებათ (სასწავლო საგნების შესაბამისად), როგორიცაა ფანქარი (შავი), სამლელი, მაგარყდიანი საერთო რვეული, სახაზავი, კომპასი, კოლექციების შესაგროვებელი მოწყობილობა, საზომი, ზონარი, საათი წამმზომით და სხვ.

2. შორეულ ექსკურსიებზე სასწავლო ნივთებთან ერთად საჭიროა:

ინდივიდუალური სარგებლობისათვის

ა) ზურგით სატარებელი საექსკურსიო ჩანთა;

ბ) პირსახოცი, სავარცხელი, სარკე, საპონი, კბილის ფხვნილი, და ჯაგრულა;

გ) მსუბუქი საბანი და ზეწარი, ღილები, ძაფი, ნემსი;

დ) დანა-ჩანგალი, კოვზი, ალუმინის ან მომინანქრებული ფინჯანი, თეფში;

ე) ცხვირსახოცები, წინდები, საცვლები, შესაფერი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

საერთო სარგებლობისათვის

ა) საველე ბინოკლი; ფოტოაპარატი;

ბ) საზომი ზონარი;

გ) საგზაო აფთიაქი;

დ) კომპასი;

ე) დანა, ბოთლისა და კონსერვის ყუთის თავმოსახდელები, შრტყელტუჩა, ჩაქუჩი, მაკრატელი, ლურსმანი;

ვ) ორი მომინანქრებული ჩაიდანი (დიდი და პატარა);

ზ) ჩაის, შაქრის და სხვა სურსათის მარაგი.

სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

1. საწარმოო ტექნიკურ ობიექტებზე მისვლის დროს, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ადგილობრივი სპეციალისტი ექსკურსანტებს გააცნობს უსაფრთხოების წესებს. ამის შემდეგ გეგმით გათვალისწინებული ორგანიზაციის მიხედვით კლასი იწყებს მუშაობას. თუ მუშაობის ორგანიზაცია ისეთია, რომ ერთი ჯგუფის მუშაობის დროს მეორე იცდის, მაშინ საჭიროა ამ უკანასკნელთან

იყოს წარმოების ერთ-ერთი მუშაკთაგანი და ესაუბრებოდეს ობიექტის მოწყობილობისა და მუშაობის ზოგად საკითხებზე (ტექნიკური ობიექტის ისტორია, დანიშნულება, მიღწევები, გეგმის შესრულება, ახალგაზრდობის როლი წარმოებაში და სხვ.). თუ-მუშაობას რამოდენიმე ჯგუფი ერთდროულად აწარმოებს, მაშინ მასწავლებელი მორიგეობით მიდის ჯგუფებთან, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ ადგილობრივი სპეციალისტების დახმარებით (დაკვირვება, ჩაწერა, ჩახაზვა და სხვ.).

2. ექსკურსიის დამთავრების შემდეგ ადგილზე წარმოებს მოსწავლეების მიერ წამოჭრილი კითხვების გარკვევა, რაშიაც მონაწილეობას მიიღებს საწარმოს სპეციალისტი.

3. ექსკურსიის სასწავლო პროცესი მთავრდება შედეგების შეჯამებით. შეჯამება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ფორმით (საუბარი მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ უახლოეს გაკვეთილზე, წინასწარ შერჩეული თემების დამუშავება და მათი სპეციალურ საჯარო სხდომაზე განხილვა). წლის ბოლოს ეწყობა ექსკურსიების მასალების, რეფერატების, ნახაზების, ფოტოფარების და კოლექციების სასკოლო გამოფენა.

4. ექსკურსიების შედეგად დაგროვილი მასალები გამოყენებული იქნება სასწავლო კაბინეტების გასამდიდრებლად.

სასწავლო ექსკურსიის ჰიგიენა

1. ადგილობრივი ექსკურსიის ჰიგიენა. საექსკურსიო გეგმის შედგენისას სხვა საკითხებთან ერთად დაგეგმილი უნდა იქნეს ისეთი ქუჩებით სიარული, რომლებიც არ არის დატვირთული ტრანსპორტით და არ მოითხოვს გზაჯვარედინებზე გადასვლას, თუ გინდ ასეთი მარშრუტი აგრძელებდეს გზას ობიექტზე მისასვლელად.

წარმოებაში მოსწავლეები უნდა მოვარიდოთ ლითონის გადამმუშავებელ ღუმელთან დგომას, როგორც დნობის, ისე ჩამოსხმის პროცესში, რადგან სწორედ ამ დროს აქვს ადგილი მავნე გაზების დიდი რაოდენობით გამოყოფას, რომელსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოსწავლის ორგანიზმზე და გამოიწვიოს მოწამლვა.

დაუშვებელია მოსწავლეთა მიერ დაზგებისა და მოწყობილობათა ნებადაურთველად ხელით შეხება. მოსწავლეებს კატეგორიულად უნდა აეკრძალოთ დასამუშავებელი მასალის ან ლითონმჭრელი დაზგებიდან გადმოცვენილი ლითონის ნამსხვრევებისა და ბურბუშელის ხელში აღება.

F 1941.

საწარმოო ექსკურსიის პროცესში ყოველ 30—40 წუთის შემდეგ მოსწავლეები უნდა გავიყვანოთ გარეთ, სუფთა ჰაერზე დასვენებლად.

ექსკურსიის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა დაბანონ ხელები საპნით, გამოირეცხონ პირი და ცხვირის ნესტოები, გაიწმინდონ და გაიბერტყონ ტანსაცმელი.

თუ მოსწავლე ცუდად გახდა (დაეწყო თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულის რევა ან სხვა მოვლენები) იგი სასწრაფოდ უნდა გავიყვანოთ სუფთა ჰაერზე და აღმოვუჩინოთ პირველი სამედიცინო დახმარება.

2. ერთდღიანი ექსკურსიის ჰიგიენა. საექსკურსიოდ გამგზავრებამდე 2 დღით ადრე რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მეშვეობით უნდა დაზუსტდეს, ხომ არ არის საშიში საექსკურსიო ობიექტის მარშრუტი.

ექსკურსანტებს უნდა ახლდეს ექიმი ან ექთანი პირველი დახმარების ყველა საშუალებით.

ექსკურსიაზე ქვეითად წაყვანისას ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეების ფეხსაცმელისა და ტანსაცმელის ჰიგიენას. ფეხსაცმელი არ უნდა იყოს ვიწრო ან ზომაზე მეტად სრული. ასევე თავისუფალი და მსუბუქი უნდა იყოს ტანსაცმელი.

ექსკურსიაზე წასვლის წინ, 15—20 წუთით ადრე, მოსწავლეებმა კარგად უნდა ისაუზმონ, არ შეიძლება ექსკურსიაზე წასვლა მსუყე საკვების მიღებისთანავე.

გზაში მოსწავლეები უნდა ვატაროთ რიტმულად, ნელა, მწკრივში სიარულისას დაცული უნდა იქნეს მოსწავლეთა შორის დისტანცია (50—60 სანტიმეტრი) და ინტერვალი (40—50 სანტიმეტრი).

სიარულის დროს 13—15 წლის მოსწავლეთა სიჩქარე 1 საათში არ უნდა აღემატებოდეს 3—3,5 კმ, ხოლო 16—17 წლის მოსწავლეთათვის—3,5—4 კილომეტრს. ყოველი 30—40 წუთის შემდეგ უნდა მოეწყოს ხანმოკლე 10—15 წუთიანი დასვენება.

გზაში მოსწავლეებს შეიძლება დავალევინოთ წყაროს ან ჭის წყალი, რომელსაც მოსახლეობა ხმარობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სოფელში არა აქვს ადგილი კუჭნაწლავის ინფექციურ დაავადებას (დეზინტერია, მუცლის ტიფი და სხვ.).

ადგილზე მისვლის შემდეგ მოსწავლეებმა საპნით უნდა დაიბანონ ხელ-პირი და საუზმის მიღების შემდეგ დაისვენონ ერთი საათი. სასურველია თუ სკოლა წინასწარ მოელაპრაკება ადგილობრივ სა-

ვაჭრო ორგანიზაციას, რათა მოსწავლეებისათვის მომზადდეს ცხელი სადილი. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ თან უნდა ვიქონიოთ ან ადგილზე ვიყიდოთ მშრალი პროდუქტები. პროდუქტებიდან ყველაზე მიზანშეწონილია კვერცხი, ყველი, ძეხვი, ხორცი მოხარშული, კარაქი, კონსერვი და სხვ. უნდა ვერიდოთ მლაშე საჭმელების მიცემას, რადგან ის გამოიწვევს წყურვილს.

წარმოების დათვალიერების შემდეგ მოსწავლეებს უნდა დავაბანიოთ ხელები საპნით, ვასამხროთ და 30 წუთით დასვენების შემდეგ დავაბრუნოთ უკან.

3. შორეული ექსკურსიის ჰიგიენა. შორეული ექსკურსიის გეგმას კარგად უნდა იცნობდეს სკოლის სამედიცინო პერსონალი. სკოლის ექიმი ექსკურსიაზე გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე სახავს საჭირო გამაფრთხილებელ ღონისძიებებს და უთანხმებს მას რაიონის სანიტარულ-ეპიდემოლოგიური სადგურის უფროსს.

ერთი კვირით ადრე საექსკურსიოდ გამგზავრებამდე სკოლის ექიმი ერთხელ კიდევ ამოწმებს შორეულ ექსკურსიაზე წასაყვან ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და აზუსტებს სიას იმ მოსწავლეებისა, რომელთაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ექსკურსიაში.

შორეულ ექსკურსიაზე არ დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებსაც ახალი მოხდილი აქვთ ინფექციური დაავადება და ფიზიკურად სუსტი ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებულ ზედამხედველობას მოითხოვენ. დაუშვებელია ექსკურსიაზე სიცხიანი, ეპილეპსიით ან ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვების წაყვანა.

შორეულ ექსკურსიაზე წასვლით დაინტერესებული ბავშვები ზოგჯერ ფარავენ წინა პერიოდში რომელიმე დაავადებით გამოწვეულ შეუძლოდ ყოფნას. ამისათვის საჭიროა სკოლის ექიმმა გამგზავარების წინა დღეს ბავშვებს ჩაუტაროს თერმომეტრიზაცია, გაუსინჯოს ყელი, შეამოწმოს მათი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა და დააზუსტოს ექსკურსიაზე წასაყვან ბავშვთა შემადგენლობა. სასურველია ამ მიზნით ექიმი გაესაუბროს მშობლებსაც.

ექსკურსიის გამყოლ ექთანს თან უნდა ჰქონდეს სამედიცინო პირველი დახმარების ყველა საშუალება. ადგილზე ჩასვლისთანავე ექთანი უნდა დაუკავშირდეს ბავშვთა პოლიკლინიკას იმ რაიონისა, სადაც ბავშვები ათევენ ღამეს, რათა საჭირო შემთხვევაში პოლიკლინიკამ ექსკურსანტებს აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება.

ექსკურსიაზე წასვლამდე ორი დღით ადრე (მაგრამ არავითარ

შემთხვევაში წინა დღით) ბავშვებმა უნდა იბანაონ და გამოიცვალონ საცვლები. ექსკურსიაზე ყოფნის დროს დაცული უნდა ექნეს ბანაობის რეჟიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საექსკურსიო ადგილზე მოსწავლეები ზუსტად უნდა იცავდნენ დაწესებულ რეჟიმს.

დანართი № 1

ექსკურსიების ჩატარების წლიური გეგმის ნიმუში ფიზიკაში

კლასი	ექსკურსიის თემა	საექსკურსიო ობიექტი	ექსკურსიის ჩატარების დრო
VII (VI)	წნევა და მისი გადაცემა სითხეების მიერ	წყალსადენი	16 დეკემბერი
	მარტივი მექანიზმები	სამშენებლო მოედანი	15 თებერვალი
VIII	სითბოს გადაცემა	ცენტრალური გათბობის სისტემა	10 ოქტომბერი
	ელექტროდენის გენერაცია და გადაცემა	ელექტროსადგური	15 მაისი
IX	ძალების შეკრება და დაშლა	ქარხნის მექანიკური საამქრო	10 აპრილი
	მექანიკის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მანქანებში	მ ტ ს	5 მაისი
X	მასალების მექანიკური დამუშავება	სამჭედლო (საზეინკლო) სახელოსნო	5 მარტი
	სითბური ძრავები და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში	მ ტ ს	10 მაისი
XI[1]	ელექტროენერგიის მიღება და ტრანსფორმაცია	ელექტროსადგური (ქვესადგური)	10 თებერვალი
	რადიოტექნიკის ფიზიკური საფუძვლები	რადიო სატრანსლაციო კვანძი	

[1] XI კლასში დასახელებული ორი საექსკურსიო თემიდან მასწავლებელმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი, რადგან პროგრამით ამ კლასში ერთი ექსკურსიის ჩატარება არის გათვალისწინებული.

დ ა ნ ა რ თ ი 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლასში ექსკურსიების ჩატარების წლიური გეგმის ნიმუში (V კლასი)

თვე	საგანი	ექსკურსიის თემა	ექსკურსიის ობიექტი	შენიშვნა
სექტემბერი	ბოტანიკა	მცენარეებზე დაკვირვება, ექსპონატების შეგროვება	კოლმეურნეობის ბაღი ან ბოსტანი	
	გეოგრაფია	თვალზომითი აგეგმვა. ზედაპირის ფორმები	მდინარე, ხევი, მინდორი.	
ოქტომბერი	ლიტერატურული კითხვა	მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის გაცნობა	სამხარეთმცოდნეო მუზეუმი	
ნოემბერი	ბოტანიკა	თესლის გაწმენდა დახარისხება	კოლმეურნეობის მტს. საბჭოთა მეურნეობა	
	გეოგრაფია	ადგილგარემოს ზედაპირის ფორმებისა და წყლების გაცნობა	მინდორი, ხევი, მდინარე	
დეკემბერი	პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოში	ხის მექანიკური დამუშავების ხელით დამუშავებასთან შედარება	ხის დამამუშავებელი საწარმოს დამამზადებელი საამქრო	
იანვარი	პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო-სახელოსნოებში	ფურცლოვანი ლითონის დამუშავების გაცნობა	თუნუქის სახელოსნო ან სარემონტო საამქრო	
აპრილი	გეოგრაფია	ადგილგარემოს გარეგანი ძალების მოქმედების, მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს გაცნობა	მდინარე, ხეობა, ტყე, მინდორი. მეტეოროლოგიური საადგური	
	ბოტანიკა	დაკვირვება სპოროვან და თესლოვან მცენარეებზე	ბაღი, ბოსტანი, ველი, ტყე.	

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექსკურსიის გეგმის ნიმუში ფიზიკაში

I. **X** კლასი.

II. ჩატარების დრო — 5 მაისი.

III. ექსკურსიის თემა — შიდაწვის ძრავა (გამართულობისა და მოქმედების პრინციპები).

IV. ექსკურსიის ობიექტი — ტრაქტორი (ავტომობილი).

V. მასწავლებელი — დ. დევიძე.

VI. ორგანიზაცია: კლასი გაიყოფა ოთხ ჯგუფად შემდეგი ქვეთემების მიხედვით:

ა) ცილინდრთა ბლოკი. დგუში;

ბ) ბარბაცა. მუხლა-ლილვი;

გ) გაზგანაწილების მექანიზმი. კარბურატორი;

დ) გამაცივებელი სისტემა.

შიდაწვის ძრავას თითოეულ ნაწილს ეცნობა ყველა მოსწავლე. თითოეული მათგანი კონკრეტულ ჩანაწერებსა და ჩანახაზებს ასრულებს მასზე დავალებულ ქვეთემასთან დაკავშირებით.

VII. საკითხები, რომლებიც საექსკურსიო ჯგუფებმა უნდა გაარკვიონ ადგილებზე:

1) რა არის ცილინდრთა ბლოკი. რამდენი ცილინდრია ძრავას ბლოკში;

2) როგორია ცილინდრების დიამეტრი და სიმაღლე (ჩაიწერეთ);

3) როგორია დგუშის დიამეტრი (ჩაიწერეთ);

4) რას ეწოდება დგუშის სვლა (გაზომეთ დგუშის სვლა);

5) რა დანიშნულება აქვს ბარბაცას (ჩაიხაზეთ ბარბაცას გარეგანი სახე);

6) როგორ მაგრდება ბარბაცა, როგორია მისი სიგრძე (გაზომეთ);

7) რა დანიშნულება აქვს მუხლა-ლილვს, როგორი სახისაა და როგორ მაგრდება ის (ჩახაზეთ);

8) რამდენ სვლას აკეთებს დგუში მუხლა-ლილვის ერთი შემობრუნების დროს;

9) როდის არ შეუძლია დგუშს შემოაბრუნოს მუხლა-ლილვი;

10) რა დანიშნულება აქვს მქნევარას;

11) როგორია მუშა-სვლების თანმიმდევრობა ცილინდრებში;

12) როგორია შემწოვი და გამომშვები სარქველების განლაგება;

13) როგორ ხდება გაზგანაწილება;

14) რას წარმოადგენს ცილინდრში შემავალი მუშა-ნარევი;

15) როგორ არის მოწყობილი კარბურატორი და რა დანიშნულება აქვს მას;

16) რა ტემპერატურა მიიღება აფეთქების დროს;

17) რა ტემპერატურა აქვს ნამუშევარ გაზს;

18) როგორია წნევა მუშა ნარევის აფეთქების შემდეგ;

19) რატომ არის აუცილებელი და როგორ ხდება ძრავის გაცივება;

VIII. ექსკურსიის შეჯამება: ა) მოსწავლეთა მიერ შეგროვებული ცნობების გადმოცემა (სიტყვიერად, გრაფიკულად); ბ) ცოდნის ურთიერთ გაზიარება და შიდაწვის ძრავას შესახებ მთლიანი წარმოდგენის შემუშავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 4

კომპლექსური ექსკურსიის გეგმის ნიმუში

I. **კლასი — VIII.**

II. ჩატარების დრო — აპრილი.

III. საგნები: პრაქტიკუმი სოფლის მეურნეობაში, ქიმია.

IV. ექსკურსიის თემა: მიჩურინული ბიოლოგიის გამოყენება სოფლის მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ქიმიზაცია.

V. ექსკურსიის ობიექტი — კოლმეურნეობა.

VI. ექსკურსიის ხანგრძლიობა — 5 საათი (აქედან მგზავრობისათვის 40 წთ).

VII. მასწავლებლები: ა. საყვარელიძე, დ. ვარდოსანიძე.

VIII. ორგანიზაცია: კლასი გაიყოფა ჯგუფებად ქვემოთ აღნიშნული პირველი, მე-2, 3, 4, 5, 6, 7 ქვეთემების მიხედვით.

1. კოლმეურნეობის სამუშაო გეგმა. აგრონომის საუბარი მოსწავლეებთან კოლმეურნეობის გეგმის შესახებ (კოლმეურნეობის მოკლე ისტორია, კოლმეურნეობის პროფილის განმსაზღვრელი ეკონომიური და გეოგრაფიული პირობები. კოლმეურნეობის ზრდის

პერსპექტივები). მოსწავლეები იწერენ რვეულებში საჭირო ცნობებს (30 წუთი).

2. კოლმეურნეობაში გამოყენებული მანქანა-იარაღები. მექანიზატორის საუბარი მანქანების ტიპებისა და მათი დანიშნულების შესახებ (გუთანი, კულტივატორი, თესლის გამწმენდი და დამახარისხებელი მანქანები, ტრაქტორი, სათესი და სარგავი მანქანები). გუთნის, სახნისის, კულტივატორის მუშაობის პრინციპი. მოსწავლეები არკვევენ მანქანების ძირითად კვანძებს და მათ დანიშნულებას (40 წუთი).

3. საცდელი მინდორი. ნიადაგის თვისებები და მისი ნაყოფიერება. თესლბრუნვის ორგანიზაცია. ნიადაგის განაყოფიერება. კულტურათა სახეები.

მოსწავლეები პრაქტიკულად ეცნობიან ნიადაგებს, მათ სტრუქტურას, საგაზაფხულო მუშაობის სახეებს, მექანიზაციის მნიშვნელობას მცენარეთა მოვლის საქმეში, სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლას, მზრალი ხვნის ხარისხის შეფასებას, ნახნავის სიღრმის და ხარვეზების განსაზღვრას და მიღებულ ცნობებს იწერენ თავიანთ რვეულებში (40 წუთი).

4. სათბურების მეურნეობა. კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურები. მცენარეთა მოვლა. მცენარეთა კვება და საკვები მასალის შემადგენლობა.

მოსწავლეები აკვირდებიან მცენარეთა მოვლის წესებს და საჭირო ცნობებს იწერენ თავიანთ რვეულებში (30 წუთი).

5. კოლმეურნეობის ბაღი. ხეხილის ჯიშები და მათი მოვლა.

მოსწავლეები ეცნობიან ბაღში საგაზაფხულო მუშაობის წესებს (30 წუთი).

6. მინერალური სასუქების საწყობი. ნიადაგში სასუქების შეტანის წესები. სასუქების კლასიფიკაცია (ორგანული, მინერალური, ბაქტერიული) და მათი დანიშნულება. სასუქების შენახვის წესები. ადგილობრივი სასუქების (კომპოსტი, ნაცარი, ფრინველთა განავალი, ტორფი, კორდის მიწა) დამზადება და შენახვა. სასუქთა გრანულირება.

მოსწავლეები დამოუკიდებლად აწარმოებენ სასუქების დანიშნულების განსაზღვრას კულტურისა და ნიადაგის თავისებურებათა გათვალისწინებით და იმის მიხედვით, თუ რამდენ პროცენტს შეიცავენ ისინი (სასუქები) აზოტს, ფოსფორმჟავას და კალიუმის ჟანგს (30 წუთი).

7. შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობაში. შრომის განაწილების ფორმები. ძირითადი საწარმოო ბრიგადები და რგოლები; წარმოების ნოვატორები. შემოსავლის განაწილება (20 წუთი).

8. მასწავლებლის (აგრონომის) დასკვნითი საუბარი და მოსწავლეთა მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა (20 წუთი).

ექსკურსიის შედეგების შეჯამება ჩატარდება ქიმიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის გაკვეთილებზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 90

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 27 იანვარი

დუშეთის რაიონის სოფ. ქვეშეთში მცხოვრებ ლიდა ალექსის ასულ წამალაიძის განცხადების შემოწმების შედეგების შესახებ

გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით 1955 წლის 20 აგვისტოს დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად (ერთ განაკვეთზე) დაინიშნა 1955 წელს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ლენა შიოს ასული ხუროშვილი.

ლ. შ. ხუროშვილი დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ო. გ. ბურდულის მიერ არ იქნა დაშვებული სამუშაოზე იმ მოტივით, რომ ადგილზე მათ ჰყავთ შესაფერისი კადრები (განათლების განყოფილების 1955 წლის 20 აგვისტოს მიმართვა № 690). ამის შემდეგ ფასანაურის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის 28 გაკვეთილი განაწილდა შემდეგნაირად:

1. სკოლის დირექტორს ჭავჭანიძეს მისცეს გეოგრაფიის 11 გაკვეთილი;

2. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ჭიჭინაძეს —12 გაკვეთილი;

3. გერმანული ენის მასწავლებელს თალაკვაძეს —5 გაკვეთილი;

დადასტურდა ისიც, რომ დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ო. ბურდულმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე 1955 წლის ნოემბერს ფასანაურის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად გაუშვა სოფ. ქვე-

შეთში მცხოვრები ისტორიკოსი ლიდა ალექსის ასული წამალაიძე და 1955 წლის 9 დეკემბრის მომართვით № 1118 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე დასვა საკითხი ფასანაურის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად ისტორიკოს წამალაიძის დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ისტორიკოსი წამალაიძე არ დაამტკიცა დასახელებული სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად და განათლების განყოფილებას დაავალა სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად დაეშვა ამ საგნის სპეციალისტი ლ. შ ხუროშვილი, მაგრამ ფასანაურის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის გაკვეთილები კვლავ ურთიერთშორის გაინაწილეს სკოლის დირექტორმა ჭავჭანიძემ, სასწავლო ნაწილის გამგემ ჭიჭინაძემ და გერმანული ენის მასწავლებელმა თალაკვაძემ, რაც სამინისტროში გაასაჩივრა ლიდა წამალაიძემ და მოითხოვა აღნიშნულ სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად დანიშვნა.

ამავე დროს ფასანაურის საშუალო სკოლის დირექტორმა ნაუმ ჭავჭანიძემ განმეორებით დასვა საკითხი სამინისტროს წინაშე მისთვის გეოგრაფიის 12 გაკვეთილის დატოვების შესახებ, რაც იმით. დაასაბუთა, რომ მათ ადგილზე არა ჰყავთ გეოგრაფიის სპეციალისტი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით ფასანაურის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად დანიშნულ ახალგაზრდა სპეციალისტის ლ. შ. ხუროშვილის სამუშაოზე დაუშვებლობისა და მის მაგივრად სამინისტროს ბრძანების გარეშე ისტორიკოს ლ. ა. წამალაიძის დაშვებისათვის დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ო. ბურდულს გამოეცხადოს საყვედური.

2. გეოგრაფიის გაკვეთილების თვითნებურად აღებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შეცდომაში შეყვანის ცდისათვის ფასანაურის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ნ. ჭავჭანიძეს გამოეცხადოს საყვედური.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ლ. შ. ხუროშვილი დაშვებულია ფასანაურის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად.

4. ლ. ა. წამალაიძეს, როგორც ისტორიკოსს, უარი ეთქვას ფასანაურის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად დანიშვნაზე.

5. დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეობურდულმა მიიღოს საჭირო ზომები პირველ შესაძლებლობისთანავე ლ. ა. წამალაიძის სპეციალობის მიხედვით შესაფერი სამეურნეოზე მოსაწყობად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ა/წ 26 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 93

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წ. 27 იანვარი

სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ სპეციალური სკოლა ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ ადგილი აქვს მათ მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ქ. სიღნაღის ყრუმუნჯთა სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას. 25 სასკოლო ასაკის აღსაზრდელთაგან ვერ ასწრებს 6; საალმზრდელო ჯგუფებში არა აქვთ დაფები, არ არიან უზრუნველყოფილი თვალსაჩინოებით, არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება სკოლის გარეშე მუშაობას. შრომითი სწავლება ჩაშლილია, საალმზრდელო ჯგუფები არაა დაკომპლექტებული. სამედიცინო-სანიტარული მომსახურება ცუდადაა დაყენებული. დარღვეულია თეთრეულის გამოცვლისა და აღსაზრდელთა აბანოში გატარების ვადები (თეთრეული იცვლება ორ კვირაში ერთხელ), იატაკები არ იწმინდება, საძინებელ ოთახებში ჰაერი არ სუფთავდება, თეთრეული ჭუჭყიანია, პირსაბნები მოუწესრიგებელია.

თბილისის № 1, ზედარგანის და ახალციხის დამხმარე სკოლა ინტერნატების საკლასო და საალმზრდელო ჯგუფები არაა უზრუნველყოფილი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებით, აკლიათ მაგარი და რბილი ინვენტარი.

ზედარგანის სკოლა ინტერნატის 42 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებს 7.

ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატში იშვიათად ტარდება ღია გაკვეთილები და ღია მეცადინეობები. სკოლა-ინტერნატი არაა უზრუნველყოფილი სათბობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედარგანისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატებში არაა დაცული მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა.

ახალციხის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს აცვიათ მოურგებელი, უვარგისი ტანსაცმელი.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ქიმიისა და ფიზიკის სწავლება ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატში (მასწ. ც. ვეფხვაძე). მოსწავლეთა საერთო მომზადება ამ საგნებში არაა მკვიდრი და საფუძვლიანი, მოსწავლეებს უჭირთ ფიზიკის კანონების შეგნებულად გადმოცემა, ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებს, კაბინეტები მოუწყობელია, მასწ. ც. ვეფხვაძე არ იყენებს თვალსაჩინოებას.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ბუნებისმეტყველების სწავლება ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატში (მასწ. შ. ცინცაძე), არითმეტიკისა და რუსული ენის სწავლება ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატში (მასწ. გ. ბიწაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ხარაძე, გ. ჩიკვილაძე).

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს სიღნაღის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას. ყველა ფასეულობაზე არ იწერება საწყობის შემოსავალ-გასავლის ფაქტურები. გამოწერილი ფაქტურების ნაწილი სრულყოფილად არ არის გაფორმებული და ზოგჯერ საქონლის მიმღებიც კი არ აწერს ხელს. მივლინება-მიმოსვლის საბუთები არასწორადაა გაფორმებული, განაღდებულია დღიურები და ღამის გასათევი ზედმეტად. არ სწარმოებს პასუხისმგებელი მორიგეობა, არ დგება სათანადო აქტები. ბრძანებით არ არის გამოყოფილი სამეურნეო კომისია, სრულიად უპასუხისმგებლოდ არის გაფორმებული შეშის ჩამოწერის აქტები; აქტზე ხელს აწერს მხოლოდ მზარეული და მრეცხავი (ჩამოწერილია 60 კუბ. მეტ. შეშა 3840 მან. ღირებული), რაც ქმნის შთაბეჭდილებას შეშის ხარჯვის არარეალობაზე. 4 თვის განმავლობაში ჩამოწერილია პური ზედმეტად (ფასების გადიდებით) ღირებულებით 1513 მანეთის.

სკოლა-ინტერნატის შენობის კაპიტალური რემონტი ჩატარებულია სამეურნეო წესით, რემონტზე საჭირო მასალები არაწესიერად

აქვთ აღრიცხული. მასალების ჩამოწერის აქტი არასწორადაა შედგენილი, ჩატარებული რემონტი უხარისხოა (ჭერი ჩამონგრეულია, წვიმა ჩამოდის). ნებართვის გარეშე ჩამოწერილია აქტით 791 ფანთის ქონება.

სიღნაღის, თბილისის, ქუთაისის ყრუმუნჯთა, ახალციხის და ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები არ მარაგდებიან დაწესებული ნორმისა და ასორტიმენტის პროდუქტებით.

უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სამნეო ნაწილის გამგის ნ. რუსიშვილის მიერ წარდგენილი ანგარიშები საქონლის დატვირთვა-გადმოტანაზე არასწორია. მასვე უკანონოდ მიღებული აქვს ტრამვაი-ტროლეიბუსების უსახელო ბილეთი ღირებული 680 მანეთად. 1954 წლის 9/XII სარევიზიო აქტით ნ. რუსიშვილს უნდა დაეფარა მის მიერ საავანსო ანგარიშით არასწორად წარდგენილი თანხა 437 მანეთის რაოდენობით, ეს თანხა დღესაც არ დაუფარავს. მანქანის საგზურების გამოწერას აწარმოებს ნ. რუსიშვილი, მაგრამ არც ერთი საგზური წესიერად არაა გაფორმებული.

საპროდუქტო საწყობის გამგე გ. თავართქილაძეს შემოწმებისას დააკლდა 89 მან. 17 კაპ. პროდუქტი და რბილი ინვენტარი. მასვე 1954 წ. 9/XII სარევიზიო აქტით აღმოაჩნდა პროდუქტებისა და ახალი რბილი ინვენტარის დანაკლისი ღირებულებით 319 მან. 98 კაპ. აღნიშნული დანაკლისი დღესაც არაა დაფარული. ამავე აქტით თანამშრომლებს ზედმეტად მიღებული მივლინება-მიმოსვლის თანხები 473 მანეთის რაოდენობით დღემდე არ დაუფარავთ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბალანსო კომისიის 1955 წლის 8/III დადგენილებით სკოლა-ინტერნატს დავალებული ჰქონდა მოეხდინა ურთიერთანგარიშების შედარებები მანგლისის სოფლის კოოპერატივთან და ბეთანიის მეურნეობასთან (არასწორი ოპერაციების გამო), მაგრამ აღნიშნული დღესაც არაა შესრულებული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სპეციალური სკოლა-ინტერნატის დირექტორებმა:

ა) უმოკლეს დროში უზრუნველყონ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება მოწინავე სკოლების ურთიერთ გამოცდილების გაზიარების საფუძველზე;

ბ) სისტემატურად იზრუნონ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და ხელგარჯილობის მასწავლებელთა დახელოვნებისათ-

ვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტი მასწავლებლების მუშაობას და გაუწიონ მათ მეთოდური დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ ზოგადტექნიკური შრომითი სწავლება პროგრამებისა და მეთოდურ მითითებათა საფუძველზე, არ დაუშვან აღსაზრდელთა შრომაში ჩაუბმელობის არცერთი შემთხვევა;

დ) გააძლიერონ საშეფო ორგანიზაციებისა და მზრუნველთა საბჭოს მუშაობა საჭირო მატერიალური ბაზის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

2. სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორს ა. ბარათაშვილს და სასწავლო ნაწილის გამგეს ი. მ. ცქიტიშვილს მიეთითოთ.

3. ქიმიისა და ფიზიკის სწავლების სუსტად დაყენებისათვის ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატის მასწ. ც. ვეფხვაძეს მიეთითოს.

4. იმის გამო, რომ ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სამნეო ნაწილის გამგე ნ. რუსიშვილმა გასული წლის შემოწმების საფუძველზე ვერ გააკეთა სათანადო დასკვნა, ვერ უზრუნველყო სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში სერიოზული დარღვევების გამოსწორება და კვლავ აგრძელებს არასწორ ოპერაციებს, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

5. ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ამხ. დ. კვაჭანტირაძემ დიასახლისი მ. თავართქილაძე გაათავისუფლოს სამუშაოდან იმის გამო, რომ იგი ვერ იმსახურებს ნდობას როგორც მატერიალურად პ/მგებელი პირი.

6. გაფრთხილებულ იქნეს ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი დ. კვაჭანტირაძე გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლა-ინტერნატის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე.

7. ქ. სიღნაღის ყრუმუნჯთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი ს. ხმალაძე, რომელმაც თავი ვერ გაართვა მუშაობას, განთავისუფლდეს სამუშაოდან;

8. საბუხჰალტრო საბუთების არასწორად გაფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის

ქ. სიღნაღის სკოლა-ინტერნატის ბუხჰალტერი გ. ა. ინანიაშვილი, განთავისუფლდეს სამუშაოდან.

9. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ 1955/56 სასწავლო წლის ბოლოსათვის ეოიწვიოს სპეციალურ სკოლა-ინტერნატების მუშაკთა თათბირი;

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1955 წლის 26 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 94

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 27 იანვარი

საბავშვო სახლებში მეოთხე კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ გასული წლის მეოთხე კვარტალში შემოწმებულია კოჯრის №№ 1, 2, 7, ნორიოს, სურამის, საჩხერის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ეწრისა და ქ. რუსთავის საბავშვო სახლების სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა და ჩატარებულია ამავე სახლების დოკუმენტური რევიზია.

ქ. რუსთავის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგები განხილულია კოლეგიაზე და მიღებულია სათანადო გადაწყვეტილება.

დასახელებული საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმებამ დაადასტურა, რომ სურამის, კოჯრის №№ 1, 2 და ნორიოს საბავშვო სახლებში მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აგრეთვე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა.

მიუხედავად ამისა, შემოწმებული საბავშვო სახლების მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს ნაკლოვანებანი.

ზუგდიდის, საჩხერისა და ეწრის საბავშვო სახლებში დარღვეულია საბავშვო სახლში აღსაზრდელთა ჩარიცხვის წესები, ზუგდიდის საბავშვო სახლში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურების გარეშე ჩარიცხულია 5 აღსაზრდელი, ამავე საბავშვო სახლში ირიცხება გონებაჩამორჩენილი ერთი აღსაზრდელი, ეწრისა და საჩხერის საბავშვო სახლებში იზრდებიან ინვალიდი ბავშვები.

ზუგდიდის, საჩხერის, გეგეჭკორის, ეწრისა და ნორიოს საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა შრომის სწავლების საქმე ცუდადაა დაყე-

ნებული. ზუგდიდის საბავშვო სახლის შრომის სწავლების სახელოსნოები არაა უზრუნველყოფილი მასალით, ეწრისა და ნორიოს საბავშვო სახლები კი იარაღ-მოწყობილობით, საჩხერის საბავშვო სახლის 38 აღსაზრდელი ვაჟი შრომის სწავლების გარეშეა დარჩენილი.

ზუგდიდის, საჩხერის, ეწრისა და გეგეჭკორის საბავშვო სახლების აღსაზრდელთა კვება არაა მოწესრიგებული. ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების მიღებისათვის არ იბრძვიან დასახელებული საბავშვო სახლების დირექტორები.

კოჯრის №7 საბავშვო სახლის ბუხჰალტერი. ლ. გველესიანი საბუხჰალტრო დოკუმენტებს არ აფორმებდა დროულად და სწორად, შემოსავლის და გასავლის ფაქტურები არ იწერებოდა დადგენილი წესის მიხედვით, მოუწესრიგებელი იყო სასაწყობო მეურნეობა, უყურადღებოდ ფორმდებოდა საბანკო დოკუმენტები და სამეურნეო კომისია სუსტად მუშაობდა.

საბუხჰალტრო დოკუმენტების გაფორმების საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კოჯრის №№1, 2, ეწრის, გეგეჭკორისა და საჩხერის საბავშვო სახლებში.

რევიზიის შედეგად ზუგდიდის საბავშვო სახლის საწყობის გამგეს გ. ჭანიას დააკლდა 1439 მანეთის, ხოლო ზედმეტი აღმოაჩნდა 541 მანეთის სხვადასხვა სახის რბილი ინვენტარი. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საბავშვო სახლის დირექტორს ა. კვირტიას არავითარი ზომები არ მიუღია.

საჩხერისა და ეწრის საბავშვო სახლებში დარღვეულია აღსაზრდელთა ბანაობისა და თეთრეულის გამოცვლის დაწესებული ვადები.

ეწრის საბავშვო სახლში სამედიცინო მომსახურება არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. აღსაზრდელებში არაა გამომუშავებული კულტურული ქცევის ჩვევები.

საჩხერისა და კოჯრის №7 საბავშვო სახლებში მოუმზადებელი შეხვდნენ მიმდინარე წლის ზამთარს; არ არიან უზრუნველყოფილი სათბობით და ბავშვებს აკლიათ საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმელი.

ზუგდიდის საბავშვო სახლში წრეობრივი მუშაობა ჩაშლილია. სუსტად მუშაობენ მზრუნველთა საბჭოები და შეფები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს კოჯრის 1, 2, ნორიოს, სურამის, ეწრის, საჩხერის, ზუგდიდისა და გეგეჭკორის საბავშვო სახლების დირექტორებს

უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ამ ბრძანებაში და ნარკვევ მასალებში დასახელებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

2. საბავშვო სახლის მუშაობის არადამაკმაყოფილებლად ფასებისათვის ზუგდიდის საბავშვო სახლის დირექტორს — ა. კვირტიას გამოეცხადოს საყვედური.

3. საჩხერისა და გეგეჭკორის საბავშვო სახლების დირექტორებს გ. ხვედელიძეს და ვ. ბაჩილავას საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო საფინანსო საქმიანობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ კოჯრის № 7 საბავშვო სახლის ლიკვიდაციის გამო, ამ სახლის დირექტორი ნ. ურუშაძე გადაყვანილია სხვა სამუშაოზე, ბუხჰალტერი ლ. გველესიანი განთავისუფლებულია სამუშაოდან და ეწრის საბავშვო სახლის დირექტორი ტ. მეგენეიშვილი გადაყვანილია სხვა სამუშაოზე.

5. დაევალოს ზუგდიდის საბავშვო სახლის დირექტორს ა. კვირტიას გაანთავისუფლოს სამუშაოდან საწყობის გამგე გვანჯი ჭანია, რომელიც ვერ იმსახურებს ნდობას, როგორც მატერიალურად პ/მგებელი პირი. შემოსავალში აიღოს 541 მანეთის ზედმეტად აღმოჩენილი რბილი ინვენტარი და დააფარვინოს გამოვლინებული 1439 მანეთის დანაკლისი.

6. აღინიშნოს, რომ ზუგდიდის განათლების განყოფილების უფროსმა გამგემ შ. ხუბულავამ საბავშვო სახლს გაუგზავნა 5 ბავშვი საბავშვო სახლში ჩასარიცხავად განათლების სამინისტროს საგზურების გარეშე, რაც აშკარა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა.

7. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება მ/წლის IV კვარტალში და შედეგი მომახსენოს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 26 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 97

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 30 იანვარი

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლაში არასაკმაო ღონისძიებანი ტარდება მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან და მოსწავლეთა მშობლებთან, რის გამოც დიდია მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა, მაგალითად: მიმდინარე სასწავლო წლის I და II მეოთხედში გაცდენილია 14763 გაკვეთილი, აქედან არასაპატიო მიზეზით 5817. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოცხადების საქმეში, მიმდინარე სასწავლო წლის 13 იანვარს ამ სკოლის 365 მოსწავლიდან პირველ გაკვეთილზე დააგვიანა 43-მა, 124 მოსწავლე კი სულ არ გამოცხადებულა მეცადინეობაზე. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე 16, 17 და 18 იანვარს.

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი არადამაკმაყოფილებლად იბრძვის მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის, მიმდინარე სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან სხვადასხვა მიზეზის გამო სკოლას ჩამოსცილდა 128 მოსწავლე, ამათგან 57 მოსწავლეზე სკოლას არავითარი საბუთი არ გააჩნია.

სუსტია კლასის ხელმძღვანელთა მიერ ჩატარებული აღმზრდელობითი მუშაობა, მათი სამუშაო გეგმები ზოგადი, ერთფეროვანი და ენობრივად გაუმართავია.

მოუგვარებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, 31 მოსწავლეს

არ გააჩნია დაბადების და 8 კლასის დამთავრების მოწმობები, ეს მოსწავლე არსად არ მუშაობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ წარმოებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მორიგეობა, კლასებში არაა მოწყობილი საორგანიზაციო კუთხეები.

სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა შორის დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევებს:

მიმდინარე სასწავლო წლის ნოემბერში მერვე კლასის მოსწავლე ვ-ძემ (არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა) ქუჩაში ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა მოქალაქე ნ-ს, რისთვისაც იგი მიცემულია პასუხისგებაში. სკოლას ამ მოსწავლის შესახებ არ უმსჯელია.

მიმდინარე სასწავლო წლის I და II მეოთხედში დისციპლინას უხეში დარღვევისათვის დისციპლინაში ნიშანი „3“ და „4“ დაეწერა 12 მოსწავლეს.

დაბალია სკოლის აკადემიური მოსწრება, I მეოთხედში 311 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 147 მოსწავლე, ხოლო II მეოთხედში 344 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 123.

დაბალია კომკავშირელ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, I მეოთხედში 125 კომკავშირელიდან ვერ ასწრებდა 40, ხოლო II მეოთხედში 132-დან —36.

სკოლა არადამაკმაყოფილებელ მუშაობას აწარმოებს მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, 13 მეორეწლიანი მოსწავლიდან I მეოთხედში ვერ ასწრებდა 7.

სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი არ არის სახელმძღვანელოებითა და სწავლებისათვის საჭირო სხვა ნივთებით.

სუსტია სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სკოლის დირექტორს ამხ. გ. ბერიაშვილს I/IX-დან შემოწმების დღისათვის მოსმენილი ჰქონდა მხოლოდ 20 გაკვეთილი, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ.. შ. ხეჩოშვილს 21 გაკვეთილი.

ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. გ. ბერიაშვილს:

ა) მოზრდილთა სკოლის მუშაობის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლაში სასწავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმზრდელობითი მუშაობა, მეტი ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს კლასის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვა-განმტკიცებისა-მეში;

ბ) ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის, დაგვიანებისა და გაკვეთილებიდან უნებართვოდ წასვლის შემთხვევების აღმოსაფხვრელად;

გ) მიიღოს საჭირო ზომები სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად;

დ) 10 დღის ვადაში წესრიგზე მოიყვანოს სასკოლო დოკუმენტაცია და მოსწავლეთა პირადი საქმეები;

ე) პედაგოგიურ საბჭოს მორიგ სხდომაზე განიხილოს აღნიშნული ბრძანება და გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. სკოლაში დისციპლინის დაბალ დონეზე დაყენებისათვის სკოლის დირექტორს გ. ბერიაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

3. სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. შ. ხეჩოშვილს სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

4. დაევალოს ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ა. მჭედლიძეს ყოველგვარი პირობები შეუქმნას მუშა ახალგაზრდობის მეხუთე საშუალო სკოლას ნორმალური მუშაობისათვის. ჩატარებული ღონისძიებების შესახებ მომახსენოს პირადად ა/წლის 4 თებერვლამდე.

5. დაევალოს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ამხ. ნ. მჭედლიშვილი) გადაჭრით გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლაზე.

6. დაევალოს სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებას მიმდინარე წლის 25 მარტამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 26 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

საჯარო ბიბლიოთეკა

ᲣᲤᲐᲡᲝ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

2